,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მე-3 თავით დადგენილი მოთხოვნების შესრულების თაობაზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ანგარიში

2020 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე შემოვიდა 81(ოთხმოცდაერთი) განცხადება.

2020 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე შემოსული განცხადებებიდან სრულად დაკმაყოფილდა 77 (სამოცდაჩვიდმეტი) მოთხოვნა.

2020 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე შემოსული განცხადებებიდან 2 (ორი) განცხადებასთან დაკავშირებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა, ხოლო 2 (ორი) განცხადება არ დაკმაყოფილდა ვინაიდან, განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავდა სხვა პირებთან დაკავშირებით არსებულ პერსონალურ მონაცემებს.

2020 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას ადგილი არ ჰქონია.

2020 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე შემოვიდა 4 (ოთხი) მოთხოვნა.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-ს მოთხოვნის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ხელმძღვანელობდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის ხელმძღვანელისა და მისი მოვალეობის შემსრულებლის მიერ;

2020 წლის განმავლობაში ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიას ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით ხარჯი არ გაუწევია, ხოლო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის წარმოდგენილი მოსაკრებლის საერთო ოდენობამ შეადგინა 4.15 (ოთხი ლარი და 15 თეთრი) ლარი.